



უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი); UPR (უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა) და, აქტიურად ადვოკატირებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობისთვის.

- საზოგადოების ფართო მასების ცნობიერების ამაღლების და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, 2015 წელს შეიქმნა ტელესტუდია სახელწოდებით „რეპრო სტუდია“, რომელიც ამზადებს სატელევიზიო გადაცემა „ალტერნატიული აზრი“. გადაცემა გადის ყოველ შაბათს 18:00 საათზე ტელეკომპანია „აფხაზეთის ხმის“ ეთერით.

სათემო ჯგუფების ჩამოყალიბა და განვითარების მხარდაჭერა

- ჰერა XXI ხელს უწყობს სათემო ჯგუფების გაძლიერებას, განვითარებას და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- 2016 წელს აივ დადებით ადამიანთა სათემო ჯგუფის „პაპა“ (პოზიტიური დამოკიდებულება პოზიტიური ქცევა), წარმომადგენელი შევიდა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს (CCM) შემადგენლობაში და აქტიურად ადვოკატირებს თემის საჭიროებებს პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების პროცესში;
- 2015 წელს სექს მუშაკთა სათემო ჯგუფი „ქალთა ხმა“ გახდა საერთაშორისო ქსელის SWAN წევრი.

პარტნიორული ურთიერთობები

- ასოციაცია არის საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის (IPPF) -ის წევრი ორგანიზაცია; შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU) პარტნიორი;
- საერთაშორისო ახალგაზრდული ქსელების - ASTRA network; YSAFE, YOUACT, YPEER წევრი; Peace Corps.
- საქართველოს ზიანის შემცირების ქსელისა და აივ პრევენციის ჯგუფის წევრი ორგანიზაცია

საქმიანობის გეოგრაფიული არეალი

ასოციაცია “ჰერა XXI “ მუშაობს საქართველოს 5 რეგიონში - თბილისი, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი.

ვინ ვართ ჩვენ?

ასოციაცია ჰერა XXI - არის საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს მოხალისეთა ჩართულობას მთელი ქვეყნის მასშტაბით და უზრუნველყოფს სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ ისეთ ინფორმაციასა და სერვისებზე სრულ ხელმისაწვდომობას, რომელიც იცავს თითოეული ადამიანის სქესობრივ უფლებებს და მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მოთხოვნების უზრუნველყოფას. მტკიცებითი პრაქტიკა და მდგრადი დემოკრატიული განვითარება არის ჩვენი საქმიანობის საფუძველი.

H- (Health) - სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაღალხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და მაღალი რისკის მოსახლეობისათვის.

E-(Education) - საქართველოს ახალგაზრდების და სამედიცინო პროფესიონალური ჯგუფების განათლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ.

R-(Rights) - სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების რეალიზება, ადვოკატირება და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა.

A-(Alternative) - თავისუფალი, ინფორმირებული არჩევანის გაცემების შესაძლებლობა; მოხალისეობრივი ინსტიტუტის განვითარება.

დაგვიკავშირდით:
არასამთავრობო ორგანიზაცია “ჰერა XXI”
გამსახურდიას გამზ. II კვარტალი IX კორპუსი ბ2
თბილისი, საქართველო
ტელ : (032) 2 14 28 53 /51
hera@caucasus.net
www.hera-youth.ge

ასოციაცია ჰერა XXI მისია

ასოციაცია “ჰერა XXI” ხელს უწყობს ქვეყანაში მოხალისეთა მოძრაობის გაძლიერებას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების რეალიზებას: სრულფასოვანი სექსუალური განათლების უზრუნველყოფით, მაღალ ხარისხიანი სერვისების მიწოდებით, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების ადვოკატირებით, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე.

ჩვენი ხედვა

ჩვენ ვისწრაფით ისეთი დემოკრატიული და ჰარმონიული საზოგადოებისკენ, სადაც თითოეულ ადამიანს ხელი მიუწვდება სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ყოვლისმომცველ განათლებასა და მარალხარისხიან სერვისებზე, სადაც თითოეული ადამიანის სექსობრივი და რეპროდუქციული უფლება რეალიზებულია.

ჩვენი ღირებულებები

სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები, როგორც ადამიანის უფლებების შემადგენელი ნაწილი;

- გენდერული თანასწორობა;
- ინოვაციურობა, შემოქმედებითი მიდგომა;
- ახალგაზრდებისა და მოხალისეების ჩართულობა.

პროგრამები

მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა:

- ჩამოყალიბდა და განვითარდა მოხალისეთა მოძრაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ყოველწლიურად ორგანიზაციაში მოხალისეობრივად ჩართულია 600-მდე მოხალისე.

ახალგაზრდების ჩართულობა:

- ხელს უწყობს ახალგაზრდა აქტივისტთა ლიდერების ფორმირებას და მათ ჩართვას ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში და კამპანიებში;
- დღეისთვის 100-ზე მეტი აქტივისტია ჩართული სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ახალგაზრდები იძენენ ცოდნას, აწვითარებენ უნარებს სხვადასხვა მიმართულებით და იძენენ სამუშაო გამოცდილებას.

სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა

- ადაპტირდა და შეიქმნა არაფორმალური განათლების სახელმძღვანელო „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“ რომლის უზრუნველყოფას სწორი, კვალიფიციური და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.
- არაფორმალური განათლების კომპონენტის ფარგლებში „თანასწორი თანასწორს“ მეთოდოლოგიით გადაამზადდა 425 ახალგაზრდა და ჩატარდა 5125 საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა თბილისის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო და შიდა ქართლის რეგიონების სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის;
- პროფესიონალური ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა 60-ზე მეტი ტრენინგი და გადაამზადდა 600-ზე მეტი სერვისის მიმწოდებელი (მეან-გინეკოლოგი, ექთანი, ბებიაცალი, ოჯახის ექიმი) ოჯახის დაგეგმვისა და აბორტის წინა და შემდგომ კონსულტირების თანამედროვე ტექნოლოგიების, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების, უსაფრთხო აბორტის, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების, პაციენტის უფლებების, გენდერული მიდგომებისა და ხარისხიანი მომსახურების პრინციპების შესახებ;
- გადაამზადდა 40-მდე სატელევიზიო, ინტერნეტ და ბეტდური მედია საშუალებების წარმომადგენელი;
- შეიქმნა დიპლომის შემდგომი განათლების კურსი - „რეპროდუქციული სერვისების ხარისხის შეფასება/კლინიკური აუდიტი“, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით;
- მუდმივად ქმნის და მიზნობრივად ავრცელებს საინფორმაციო საგანმანათლებლო მასალას.

სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მაღალხარისხიან სერვისებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

- ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ახალგაზრდული მეგობრული სერვისები, რომელიც გულისხმობს მეგობრულ და კომფორტულ გარემოში უფასოდ, ანონიმური და კონფიდენციალური სერვისების მიწოდებას;
- ასოციაციაში ფუნქციონირებს ფსიქოლოგის უფასო კონსულტაცია/კონსულტირება;

- იურდიული ცხელი ხაზი;
- პირადი და ონლაინ ექიმ-რეპროდუქტოლოგის კონსულტირება და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებით უზრუნველყოფა;
- ორგანიზაციაში არსებული სერვისებით, ყოველწლიურად 15-45 წლამდე 10000-ზე მეტი ადამიანი სარგებლობს;
- ასოციაცია ჰერა XXI-ს აქვს პარტნიორული თანამშრომლობა იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელოს რეგიონში მდებარე კერძო სამედიცინო დაწესებულებებს. პარტნიორ კლინიკებში ფერტილური ასაკის მოსახლეობისთვის: მათ შორის სიღარბის ზღვარს მიღმა მყოფი, სოფლად და მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ხარისხიანი მომსახურება ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის და უსაფრთხო აბორტის მეთოდებზე (მედიკამენტოზური, მანუალ ვაკუუმ ასპირაცია), პრე და პოსტ კონსულტირების თანამედროვე პრინციპებით.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა

- ატარებს კვლევებს და ახდენს შედეგების სიტუაციურ ანალიზს სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის საკითხებზე;
- ჩატარდა კვლევები თემებზე: „ანტენატალური სქესის შერჩევა“; „საქართველოში საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებლის ოპერაციული კვლევა“; „მითები და ცრურწმენები კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ“; „საქართველოში მცხოვრები აივ /ინფიცირებულთა სტიგმა /დისკრიმინაციული ანალიზი“; „სექს მუშაკების საჭიროებების გამოვლენა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა“; „ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები“; „აბორტის სერვისის ხელმისაწვდომობის და მზაობის შეფასება“.

სოციალური ეკონომიური და საკანონმდებლო/პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესება სექსობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მიმართულებით

- ასოციაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია სახელწოდებით – „კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისთვის“ რომელიც 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას, დამოუკიდებელ ექსპერტსა თუ მედიის წარმომადგენელს აერთიანებს.
- ასოციაცია ჰერა XXI იყენებს საერთაშორისო მონიტორინგის ინსტრუმენტებს CEDAW (ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია), ICCPR (სამოქალაქო და პოლიტიკური